



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

## ო კ მ ი N 1

**სხდომის ჩატარების დრო:**

3 დეკემბერი, 2021 წელი.

**სხდომის ჩატარების ადგილი:**

რუსთაველის გამზირი N3.

ადგილობრივი თვითმმართველობის  
შენიშვნაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა გახსნა №59 ქალაქ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ლარინა ლალიაშვილმა.

**მან აღნიშნა:** „გილოცავთ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებას და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად არჩევას. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ცსკ-ო იწვევს ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომას და მე, როგორც ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მაქვს პატივი, გავხსნა პირველი სხდომა. მოგეხსენებათ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, პირველ სხდომას უნდა წაუძღვეს საკრებულოს უხუცესი (ასაკით უფროსი) წევრი. საკრებულოს უხუცესი წევრია, ყველასთვის პატივსაცემი და ნაცნობი პიროვნება, ბატონი თეიმურაზ ნადირაძე. გთხოვთ, ბატონო თეიმურაზ, წაუძღვეთ სხდომას საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე, საკრებულოს პირველ სხდომას უძღვებოდა საკრებულოს უხუცესი წევრი, ბატონი თეიმურაზ ნადირაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** საკრებულოს წევრები: ი.შენგელია, გ.ბასილაძე, პ.ლილუაშვილი, თ.ნადირაძე, დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჭარაძე, ლ.სანიკიძე, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჭამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კობხრიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

**სულ: 35 წევრიდან - 34 წევრი.**

**არ ესწრებოდა:** საკრებულოს წევრი, ბატონი დ.აბულაძე.

**სულ: 35 წევრიდან - 1 წევრი.**

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:** №59 ქალაქ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი ლ.ლალაიაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: ი.უგულავა, დ.ერემეიშვილი, დ.ქარქაშაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ბატონები: პ.ადამაძე, დ.ნიშნიანიძე, მ.მამასახლისი, ჯ.არაბიძე, ვ.გობეჯიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და

მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ** სიტყვით მიმართა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას: „მოგესალმებით მეგობრებო. მივესალმები ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლებს, ქალაქის მერს, მერიის მოადგილეებს, პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, მივესალმები საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს, დამსწრე საზოგადოებას. საკრებულოს წევრებს გილოცავთ მე-7 მოწვევის საკრებულოს წევრობას. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ოთხწლიანი თანამშრომლობა იქნება კონსტრუქციული და მთავარი ამოცანები იქნება ჩვენი ქალაქის ხვალისდელი დღე და მისი კეთილდღეობა. კიდევ ერთხელ გილოცავთ.“

ამის შემდეგ, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ** წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. №59 ქალაქ ქუთაისის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენების შესახებ

ქალბატონი ლარინა ლალიაშვილი  
№59 ქალაქ ქუთაისის საოლქო  
საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს წევრები,  
სხდომის თავმჯდომარე

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს წევრები,  
სხდომის თავმჯდომარე

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების  
ცნობის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს სამანდატო დროებითი  
კომისიის თავმჯდომარე

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის  
შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს წევრები,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი  
კომისიის თავმჯდომარე,  
სხდომის თავმჯდომარე

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
მოადგილეების არჩევის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი  
კომისიის თავმჯდომარე

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების  
ცნობად მიღების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს სამანდატო დროებითი  
კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს სამანდატო დროებითი  
კომისიის თავმჯდომარე

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი კვოტების შესაბამისად, საკრებულოს ფრაქციებისაგან წარდგენილი წევრებითა და საკრებულოს წევრთა პირადი განცხადებების საფუძველზე განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა; საფინანსო-საბიუჯეტო; ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის; კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს სამანდატო დროებითი  
კომისიის თავმჯდომარე

10. საკრებულოს ფრაქციების მიერ კანდიდატურათა წარდგენის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა; საფინანსო-საბიუჯეტო; ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის; კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების თავმჯდომარეების არჩევის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი  
კომისიის თავმჯდომარე,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

### აზრი გამოთქვას, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მოგესალმებით. დღევანდელი დღე თითოეული ჩვენგანისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. დღის წესრიგთან დაკავშირებით გვაქვს რამდენიმე შენიშვნა. თუ არის შესაძლებელი და როგორც ვიცი, შესაძლებელია, ფრაქციების დაფუძნების საკითხი გადმოვიტანოთ ხმისდამთვლელი და სამანდატო დროებითი კომისიების არჩევის შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებამდე და მეორე საკითხი: დღის წესრიგის ბოლო საკითხად ჩანიშნულია საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევა. სასურველია, თითოეული კომისიის თავმჯდომარე იქნეს ცალ - ცალკე არჩეული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარე, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე**: „საკითხების თანმიმდევრობა ძირითადად, განსაზღვრულია საკრებულოს მოქმედი რეგლამენტის 41-ე და 46-ე მუხლების შესაბამისად და საკითხების რიგითობა არ უნდა დაირღვეს. რაც შეეხება კომისიების თავმჯდომარეების არჩევას, ფარული კენჭისყრა ჩატარდება თითოეული კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურისათვის განკუთვნილი ცალ-ცალკე ბიულეტენების საშუალებით, ხმები დაითვლება და ფარული კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმები, თითოეული კომისიის თავმჯდომარის არჩევნების შედეგების თაობაზე, შედგება ცალ - ცალკე თითოეული კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურების შესახებ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „იმავე რეგლამენტის შესაბამისად, შესაძლებელია ჯერ არჩეულ იქნენ ფრაქციების თავმჯდომარეები და შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე. ამავდროულად, ხმისდამთვლელ და სამანდატო კომისიებში შიძლება ვერ მოხვდეს ჩვენი წარმომადგენელი. ფრაქციას აქვს უფლება ჰყავდეს საკუთარი წარმომადგენელი ხმისდამთვლელ და სამანდატო კომისიებში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ი.შენგელია** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“): „ბატონო ბესო, გასაგებია

თქვენი არგუმენტაცია. რეალურად სხდომის თანმიმდევრობა და წარმოდგენილი დღის წესრიგი, განსაზღვრულია საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით და რეგლამენტთან ერთად, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. თუ საუბარი გაქვთ, რომ პირველ ეტაპზე ცნობად იქნეს მიღებული ფრაქციების დაფუძნება, ეს პირდაპირ არღვევს რეგლამენტით გათვალისწინებულ 41-ე და 46-ე მუხლებს, რომელიც წარმოდგენილი იყო. თქვენ მეორე არგუმენტი მოიყვანეთ კომისიების თავმჯდომარეების არჩევისა და ამავდროულად, ხმისდამთვლელ და სამანდატო დროებით კომისიებში წევრების წარმოდგენის შესახებ. ამის საშუალება ისედაც გაქვთ რეგლამენტით. ამის საშუალებას გაძლევთ ისიც, რომ ფრაქციის პოლიტიკური ნაწილის გარეშე, წარმოადგინოთ შესაბამისი კანდიდატურები დროებით კომისიებში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“): „მოგესალმებით. გილოცავთ ყველას დღევანდელ დღეს. გილოცავთ ყველას საკრებულოს წევრად არჩევას. ყველას მინდა მივმართო, რომ ჩვენი საქმიანობა გავხადოთ ამ ქალაქისათვის მნიშვნელოვანი, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა, ამ ოთხი წლის მანძილზე, ჩვენი ღირსება და სახე რომ შევინარჩუნოთ. მინდა გამოვცხადო ბატონი ბესოს, ჩემთვის საპატივცემულო პიროვნების განცხადებას, დროებით კომისიებში წევრების შეყვანის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით არ იქნება პრობლემა. დავუჭერთ მხარს კანდიდატებს და ასევე ჩვენს მიერ დასახელებულ კანდიდატებსაც ექნებათ თანხმობა. ეს სიტყვიერი შეთანხმება თუ იქნება, რა თქმა უნდა, დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების თანმიმდევრობის დარღვევა არ გახდება საჭირო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრ.შუმანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „პირველ რიგში, მოგესალმებით. სამწუხაროდ, ციფრები, რომლებიც წარმოდგენილია ამ სხდომაზე, არ ასახავს ქუთაისელი ამომრჩევლის ნებას. ეს არჩევნები შეფასდა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორც ძალადობრივი და არადემოკრატიული. არ მეგულება ადამიანი, ვისი მეგობარი, მეზობელი, ნათესავი, ოჯახის წევრი, წასული არ

იყოს ქვეყნიდან ემიგრაციაში, რამდენიმე საჯარო მოხელეც მათ შორის და ჩვენ, ერთობლივი ძალებით უნდა მოვახერხოთ, გამოვიყვანოთ ქალაქი ამ კრიზისიდან. ასევე იმედი მაქვს, რომ ეს საკრებულო არ დაემსგავსება წინა მოწვევის საკრებულოს. დებატებით და აზრთა სხვადასხვაობით, ჩვენ უნდა მივიდეთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტამდე. ჩვენ ვცხოვრობთ ამ ქალაქში, ჩვენი შვილები ცხოვრობენ. 13 წლის ბიჭი მყავს და კონკრეტული ამოცანები დადგება მალე მისი თაობის რეალობაში, თუ სად უნდა შეძლონ რეალიზება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“): „მოგესალმებით. ყველას მინდა მივულოცო დღევანდელი დღე. საკრებულოს წევრის მანდატი ნიშნავს იმას, რომ ორიენტაცია აუცილებლად უნდა იყოს აღებული ქალაქის განვითარებაზე. გილოცავთ, ბატონო იოსებ, ქალაქის მერად არჩევას და წარმატებულ ოთხ წელს გისურვებთ ჩვენთან ერთად. ვერ დავეთანხმები ბატონ გიგა შუშანიას, რომ ეს არ იყო ქალაქის არჩევანი და დარწმუნებული ვარ, ბატონო გიგა, რომ არ ელოდებოდით, რომ ამ რაოდენობის მანდატით შემოხვიდოდით ქუთაისის საკრებულოში. ძალიან მიხარია და ეს მიუთითებს დემოკრატიულობაზე, რომ საკრებულოში წარმოდგენილია ოთხი სხვადასხვა პოლიტიკური პარტია. ძალიან კარგი იქნება კონსტრუქციული და არა დემაგოგიური ოპონირება. ამ ოთხი წლის მანძილზე უნდა დავიცვათ კოლეგიალობა. გისურვებთ წარმატებებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ე.არჩაია** (პარტია „საქართველოსათვის“) „მოგესალმებით, მივესალმები ჩემს კოლეგებს და დამსწრე საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქალაქში თვითმმართველობის არჩევნები არც დემოკრატიული იყო და არც თავისუფალი, მე მინდა, ჩემს ამომრჩეველს მადლობა გადავუხადო ნდობისათვის, პარტია „საქართველოსათვის“ მხარდაჭერისათვის. ჩვენმა ამომრჩეველმა ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ სურთ საკრებულოში იხილონ საქმეზე ორიენტირებული ადამიანები. კოლეგებო, წინ დიდი ბრძოლა გველის და იმედია, გავამართლებთ ჩვენი მოქალაქეების იმედებს.“



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.ბასილაძე** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“): „მოგესალმებით მეგობრებო. მე, ვინაიდან ახალი სახე ვარ საკრებულოში, მოგახსენებთ, რომ ვარ გია ბასილაძე, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე. რამდენიმე სიტყვას ვიტყვი ბატონი გიგას და თქვენი გუნდის მისამართით. ჩვენ ეს ოთხი წელი უნდა გავატაროთ არა ოპონირებისა და ერთმანეთთან ბრძოლის რეჟიმში, არამედ, ეს ოთხი წელი უნდა დაეტყოს ჩვენს ქალაქს. რაც უფრო მეტ დროს დავკარგავთ, მით უფრო ნაკლებს გავუკეთებთ ჩვენს ქალაქს. არ ვართ მარადიულები და ეს ოთხი წელიც მალე გაივლის. ვეცადოთ, ვიყოთ პარტნიორები, ოპოზიცია, მესმის, იქნება წინააღმდეგობაში, მაგრამ ამით ვეცადოთ არ დავაბრკოლოთ ჩვენი ქალაქის განვითარება. ჩვენ, ხმამაღალ ხმას მივაწვდით ჩვენს მოსახლეობას. ჯერ მინდა ვუპასუხო გრიგოლ შუშანას და შემდეგ ქალბატონ ელეონორას და ამაზე ცოტა გამეღიმა. ამ არჩევნებმა აჩვენა, რომ იყო დემოკრატიული და არ იყო არანაირი ძალადობა. იყო პერიოდი, მართლაც ძალადობით ტარდებოდა არჩევნები, მაგრამ გავლილია ეს ხანა. ამის დასტური ისაა, რომ საკრებულოში ოთხი პარტიაა წარმოდგენილი. რაც შეეხება ქალაქიდან გადინებას, ნამდვილად ტოვებს ქალაქს ხალხი, თუმცა, არამართო ჩვენი ქალაქიდან, არამედ, ამერიკიდანაც მიდის ხალხი სხვა ქვეყნებში. ნებისმიერი ქვეყნიდან მიდის ხალხი, ქალაქებიდანაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გაურბიან იქ არსებულ სიტუაციას. ხალხი ქვეყნიდან და ქალაქიდან გარბოდა იმის შიშით, რომ რაღაცას ჩაუდებდნენ და დაიჭერდნენ, ან ღამით გააჩუქებდნენ რამეს. კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, რომ ვიყოთ კონსტრუქციულები და ასეთი შინაარსის დებატებზე დავხარჯოთ მინიმალური დრო. რაც შეეხება ქალბატონი ელეონორას განცხადებას, რომ თურმე ახლა გაიგო, რომ არჩევნები ჩატარდა არადემოკრატიულად, ძალადობრივი ფორმებით. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, როდესაც გაიგო მან თავის ნომერი ჩვენი პარტიის სიით შემადგენლობაში, მერე გაიგო, რომ არჩევნები ყოფილა არადემოკრატიული. მე-3 ნომერი, რომ ყოფილიყავით პარტიულ სიაში დემოკრატიული იქნებოდა ეს არჩევნები ქალბატონო ელეონორა? გმადლობთ ყურადღებისათვის და კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, რომ რეალურად და ობიექტურად ვიმსჯელოთ. ბატონ

ბესო ბრეგამეს მივმართავ, მხოლოდ ორი დღეა ვიცნობთ ერთმანეთს და დასაწყისი ამ ურთიერთობისა კარგი ჩანს. ჩემი გუნდიდან ასეთი მიდგომა იქნება და თქვენი გუნდიდანაც იგივე დამოკიდებულებას ველოდებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ქ.ხურციძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მინდა ქალბატონ მარეხის გავცე პასუხი. ოპოზიცია შეიძლება არ ვართ უმრავლესობაში, მაგრამ ბევრნი ვართ წარმოდგენილნი. ეს არჩევნები რომ ყოფილიყო დემოკრატიული, უფრო მეტი ქვოტით, შეიძლება უმრავლესობითაც ვყოფილიყავით წარმოდგენილნი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე გახლავართ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, კახაბერ გაბუნია. მიყვარს, მანდილოსნების პატივისცემა და ვფიქრობ, ქალბატონ ელეონორას აქვს პასუხი გასაცემი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ე.არჩაია** (პარტია „საქართველოსათვის“): „საჭიროდ ჩავთვალე, რომ თმენის ვალდებულებას გამოვიყენებ. არ დავიწყებ ამ თემაზე საუბარს, არც იმას, წაგებული უბნის უფროსობიდან ზოგიერთი აქ როგორ მოხვდა. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, რომ უფრო კორექტულები იყოთ ჩემს მიმართ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარე, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე**: „მეგობრებო, გავითვალისწინოთ, რომ დღის წესრიგში 10 საკითხია წარმოდგენილი. ძალიან გთხოვთ, ვიყოთ კონსტრუქციულები და დღის წესრიგზე ორიენტირებულები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ალბათ, ბევრი მიცნობთ ჩემი ისტორიიდან გამომდინარე. მინდა ვითანამშრომლოთ და ბევრი კარგი საქმე ვაკეთოთ, მაგრამ რატომღაც, არ მჯერა ამ მასკარადის. მასკარადია, რადგან ჯერ თანამშრომლობდით, მერე ერთმანეთს რაღაცეებს ამახებთ. ეს არ არის ქალაქის წინსვლაზე ორიენტირებული ქმედება. როდესაც ერთპროცენტის სხვაობა არსებობს

ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის, ვფიქრობ, რომ ოპოზიცია არის გამარჯვებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ე.არჩაია** (პარტია „საქართველოსათვის“): „ბატონო კოლეგა, მიუხედავად იმისა, რომ მე „ქართული ოცნების“ წევრად ვითვლებოდი, ზუსტად 8 თვეში დავტოვე პარტია. იძულებული გავხდი და გარკვეული მიზეზების გამო დამაბრუნეს უკან, შესაბამისად, ჩავები საქმიანობაში. ყოველთვის მებრძოდა ჩემი გუნდი, ყოველთვის პრობლემები მქონდა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „წარმატებული საქმიანობა მინდა გისურვოთ კოლეგებს. მინდა შეგახსენოთ, რომ დღეს, როდესაც აქ საკრებულოს სხდომა მიმდინარეობს, ქვეყნის მესამე პრეზიდენტი გვყავს პატიმრობაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“): „მინდა გითხრათ, რომ ბიუჯეტის განხილვა მალე დაიწყება. ვატყობ, რომ ეს განხილვა იქნება ძალიან აქტიური, არ იქნება მშვიდი და მოხარული ვარ ამის გამო. მიყვარს აზრთა სხვადასხვაობა. ამისკენ მოვუწოდებ ყველას, აქაც და ჩემს სამსახურშიც. არასოდეს არ მსიამოვნებს, როდესაც ჩემი თანამშრომელი მიმტკიცებს, რომ კი ქალბატონო მაია, მართალი ხართ, პირიქით, საწინააღმდეგო აზრის მოსმენა მირჩევნია. გული მწყდება, როდესაც წინა მოწვევის საკრებულოზე მხოლოდ ჩვენ ვესწრებოდით სხდომებს და ჩვენ ვმსჯელობდით. სიამოვნებით მოვისმენ ისეთი პროფესიონალების აზრს, როგორცაა ბატონი გიგა შუშანია, ჩემთვის საპატივცემულო ადამიანი, ბესო ბრეგაძე, რომელიც ძალიან გონივრულ აზრებს გვაწვდიდა მუდმივად. მიხარია, რომ დიდი შემადგენლობით ხართ წარმოდგენილნი. ერთი წინადადებით შემოვდივარ, დავამთავროთ კამათი. იმდენი საკამათო გვექნება, კომისიის სხდომებზე, საკრებულოს სხდომებზე, სხვადასხვა შეკრებებზე. თავიდანვე ნუ განვეწყობით მტრულად, ნუ გვექნება ის განწყობა თუ ვის რა წამოცდა. ვყოფილვარ ოპოზიციაში, ვიცი რომ ოპოზიციაში ყოფნა არ არის

კომფორტული, მაგრამ საკამათოდ და აზრის გამოსათქმელად ბევრი დრო იქნება. გთხოვთ, შევწყვიტოთ კამათი და დავუბრუნდეთ დღის წესრიგს.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარე, ბატონი თეიმურაზ ნადირაძე:** „დავასრულოთ კამათი და დავუბრუნდეთ წარმოდგენილ დღის წესრიგს. რაც შეეხება არჩევნების საკითხებს, ეს არჩევნები აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ერთი შეურაცხმყოფელი სიტყვა არ გაჟღერებულა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის. თუ რაიმე ხმაური იყო, ეს იყო მერიის წინ დადგმული იაფფასიანი კონცერტები. ერთი ინციდენტი არ მომხდარა ქალაქში და მადლობა ამისათვის.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი კ. გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რომ ამბობთ, მერიის წინ მოწყობილი იაფფასიანი სცენარებიო და ჩემკენ გაქვთ მზერა, მე ვიყავი იმ კარავში მერიის წინ რომ იყო გაშლილი. თუ ამას იაფფასიან სცენარს უწოდებთ, როგორ უნდა გავაგრძელოთ კონსტრუქციული თანამშრომლობა?“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარე, ბატონი თეიმურაზ ნადირაძე:** „სხვათაშორის, კარვის დადგმა არ მიხსენებია. არ ვიცი ვინ იყო იმ კარავში და არც მაინტერესებს. სულ სხვა რაღაცეები ვიგულისხმე.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი მ.რიჟამაძე** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“): „საკრებულოს პირველი სხდომაა და გთხოვთ, არ გვინდა მწვავე დებატები. ამის საშუალება კიდევ იქნება.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ** გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება საკრებულოს პირველი სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 34-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს 1 წევრი, ბატონი დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი; წინააღმდეგი: საკრებულოს 13 წევრი, ბატონები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე, ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 3-მა წევრმა, ბატონებმა: გრ.შუმანიამ, ლ.შალამბერიძემ, ქალბატონმა ა.კობხრიძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარის, **თ.ნადირაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გარეშე.

**ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, განმარტება გააკეთა საკრებულოს სხდომაზე გამოსვლის ფორმების, საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლის ხანგრძლივობისა და პროცედურული საკითხების თაობაზე: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 59-ე და მე-60 მუხლების შესაბამისად, ვიმუშავეთ შემდეგი რეგლამენტითა და წესით: საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელს გამოსვლისათვის ეძლევა დრო 20 წუთამდე, თანამომხსენებელს - 15 წუთამდე, თითოეულ მათგანს დასკვნითი სიტყვისათვის 10 წუთამდე; დებატებში გამომსვლელებს პირველად გამოსვლისას - 7 წუთამდე, მეორედ გამოსვლისას - 5 წუთამდე. პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით -1 წუთამდე, წარდგენილი კანდიდატურის განხილვასთან დაკავშირებით, განმარტების, ინფორმაციის, მიმართვის, განცხადებებისა და შეკითხვებისათვის - 3 წუთამდე. საჭიროების შემთხვევაში, გამოცხადდება შესვენება შესაბამისი ხანგრძლივობით. საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებების მიღება, გარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5, მე-6, მე-10 საკითხებისა, რომლებიც საკრებულოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და კომისიის თავმჯდომარეების არჩევნების ჩატარებას შეეხება, მოხდება ღია კენჭისყრით, საკრებულოს თავმჯდომარის, მისი

მოადგილეებისა და კომისიის თავმჯდომარის არჩევნები გაიმართება ფარული კენჭისყრით. თუ საჭირო იქნება, ჩატარდება საკრებულოს წევრთა ხელახალი რეგისტრაცია და ხმების ხელახალი დათვლა როგორც ღია, ასევე, ფარული კენჭისყრისას. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სიტყვის გამოსვლის დროის გახანგრძლივება, კენჭისყრის გადადება, ასევე, განსახილველ საკითხებზე დებატების გადადება, კამათის გარეშე საკითხის კენჭისყრაზე დაყენება, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება სხდომის გადადება და საჭიროების შემთხვევაში, ყველა იმ პროცედურის გათვალისწინება, რასაც საკრებულოს რეგლამენტის მე-60 მუხლი ითვალისწინებს.“

**მ ო ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის პირველი საკითხის - **№59 ქალაქ ქუთაისის საოლქო - საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენების შესახებ**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება წარმოადგინა №59 ქალაქ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **ლარინა ლალიაშვილმა**.

( ქალბატონი ლ.ლალიაშვილის მოხსენება ოქმს თან ერთვის)

მოხსენების წარმოდგენამდე, ქალბატონმა **ლ.ლალიაშვილმა** აღნიშნა: „მანამ მოხსენებას წაგიკითხავთ, ადმინისტრატორი ვარ და არ შემძლია არ გიპასუხოთ, ვარ აპოლიტიკური და თქვენი პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ყოველი თქვენგანის მიმართ მაქვს პატივისცემა და გიდასტურებთ ამას. რაც შეეხება ბატონ გიორგი კილაძის განცხადებას. რაც შეეხება სწორად არდათვლილ ხმებს, ჩვენ წლებია ვიცნობთ ერთმანეთს და ვინ თუ არა თქვენ, კარგად იცით, ოლქისა და უბნის წევრების საქმიანობა და არა მგონია, ფიქრობდეთ, რომ რაიმე არასწორად დათვალა ქუთაისის საოლქო კომისიამ“.

№59 ქალაქ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, **ლ.ლალიაშვილის** მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად, კენჭისყრის გარეშე.

**მ ო ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევნის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ გააკეთა მოკლე განმარტება სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის წესისა და ამ კომისიის უფლება-მოვალეობების შესახებ: „შეგახსენებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულო, ღია კენჭისყრით, ქმნის საკრებულოს სამანდატო დროებით კომისიას და სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, ღია კენჭისყრით, ირჩევს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარეს. ამ კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით კი, ამტკიცებს კომისიის შემადგენლობას არანაკლებ ორი წევრით. საკრებულოს რეგლამენტის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს სამანდატო და ხმისდამთვლელი დროებითი კომისიების არჩევის შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, სამანდატო დროებით კომისიას გადასცემს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაციას. რის შემდეგაც ცხადდება შესვენება, რომლის დროსაც, სამანდატო დროებითი კომისია საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით, ამზადებს შესაბამის დასკვნას, რომელსაც მოახსენებს საკრებულოს. ახალარჩეული საკრებულო, სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოხსენების შესაბამისად, საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ, სიითი შემადგენლობის ერთი მესამედით, ღია კენჭისყრით, იღებს განკარგულებას საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ერთიანი სიით.

სამანდატო დროებითი კომისია განიხილავს აგრეთვე, საკრებულოს ფრაქციების რეგისტრაციის საკითხს და ამზადებს შესაბამის დასკვნას, რომელსაც წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს.

მ/წლის 19 ნოემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საკრებულოს მუდმივი კომისიების შემადგენლობა განისაზღვრება საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ

არიან არცერთ ფრაქციაში. აღნიშნული ცვლილების თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ საკრებულოს ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას, ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე საკრებულოს კომისიას, რომელიც ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიებში წევრების წარდგენის სისწორეს. ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე, იურიდიულ საკითხთა კომისიის არჩევამდე, მიზანშეწონილია, ფრაქციის მიერ კომისიებში წევრების წარდგენის სისწორე შეამოწმოს სამანდატო დროებითმა კომისიამ, აგრეთვე, განიხილოს საკრებულოს იმ წევრთა განცხადებები, რომლებიც არ არიან არცერთი ფრაქციის წევრები და შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს საკრებულოს. სამანდატო დროებითი კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე, იურიდიულ საკითხთა კომისიის არჩევამდე. სამანდატო კომისიის უფლება-მოვალეობები ჩამოყალიბებული იქნება ამ კომისიის არჩევის შესახებ შესაბამის განკარგულების პროექტში. თავდაპირველად, უნდა დასახელდეს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს წევრთა 1/5-ს და საკრებულოს ფრაქციას. ფრაქცია, ჯერ შექმნილი არ არის. გამომდინარე აქედან, გთხოვთ, საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/5-ს, დავასახელოთ დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა **მარეს ნიჟარაძემ** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) მისი და საკრებულოს წევრების: პ.ლილუაშვილის, ბ.მახარაძის, ი.შენგელიას, ლ.სანიკიძის, ბ.ხამაშურიძისა და მ.რიჟამაძის სახელით (7 წევრი), სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარედ დაასახელა საკრებულოს წევრის, **თეა ჯუღელის** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) კანდიდატურა. მან აღნიშნულის თაობაზე დამატებით, წარმოადგინა წერილობითი დოკუმენტიც.

ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, **თ.ჯუღელმა** თანხმობა განაცხადა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის არჩევის თაობაზე. ამასთან, დამატებით, წარმოადგინა წერილობითი თანხმობაც.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, თ.ჯუღელის დასახელებისა და ამ თანამდებობაზე არჩევის თაობაზე, თ.ჯუღელის თანხმობის შესახებ წერილობითი დოკუმენტები ოქმს თან ერთვის)

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ** გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ, საკრებულოს წევრის, თ.ჯუღელის არჩევასთან დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 34-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: საკრებულოს 16-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კობრეიძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა, ბატონებმა: გ.შუმანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებით კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს საკრებულოს წევრი, თეა ჯუღელი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, **თ.ჯუღელმა** მაძლობა მოახსენა საკრებულოს, მისი სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე. მან აღნიშნა: „მინდა ყველას ვუთხრა დიდი მაძლობა. რადგან მოგვეცა საშუალება ვემსახუროთ ჩვენ ქალაქს, ამ შანსს არ გავუშვებთ ხელიდან არც პოზიცია და არც ოპოზიცია. გავერთიანდეთ იმისთვის, რომ ამ ქალაქისათვის ვაკეთოთ სასიკეთო საქმეები და ახალგაზრდებს ვაჩვენოთ საქმის კეთების ნიმუში. მაძლობა ჩემი კანდიდატურის დასახელებისთვის“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა** სამანდატო დროებითი კომისიის შემადგენლობა წარმოადგინა საკრებულოს წევრების: ბაქარ მახარაძისა (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) და მერაბ ჭოხონელიძის (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) კანდიდატურებით. ამასთან, მან ოპოზიციის წარმომადგენლებს შესთავაზა საკუთარი კანდიდატურის დასახელება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა **გრიგოლ შუშანიამ** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის წევრად დაასახელა საკრებულოს წევრის, ქეთევან ხურციძის (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) კანდიდატურა.

საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის შემადგენლობაში სხვა კანდიდატურა აღარ დასახელებულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა** საკრებულოს წევრის, გრ.შუშანიას წინადადების გათვალისწინებით, ხელახლა წარმოადგინა სამანდატო დროებითი კომისიის შემადგენლობა საკრებულოს წევრების: ბაქარ მახარაძის (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“), მერაბ ჭოხონელიძისა (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) და ქეთევან ხურციძის (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) კანდიდატურებით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა **თეიმურაზ ნადირაძემ** გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის წევრებად ბაქარ მახარაძის, მერაბ ჭოხონელიძისა და ქეთევან ხურციძის დამტკიცების შესახებ. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 34-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.აბულაძე**.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 32 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში 2-მა წევრმა, ქალბატონებმა: ე.არჩაიამ და ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დამტკიცდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის წევრებად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ბაქარ მახარაძე, მერაბ ჭოხონელიძე და ქეთევან ხურციძე.

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 34-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 32 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში 2-მა წევრმა, ქალბატონებმა: ე.არჩაიამ და ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ პროექტის თაობაზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარის, **თ.ნადირაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ განკარგულება N1 ოქმს თან ერთვის)

**მ ო ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-2 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ გააკეთა განმარტება ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის წესისა და ამ კომისიის უფლება-მოვალეობების შესახებ: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 43-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულო ღია კენჭისყრით, ქმნის საკრებულოს ხმისდამთვლელ დროებით კომისიას და სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, ღია კენჭისყრით, ირჩევს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარეს. ამ კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით კი, ამტკიცებს კომისიის წევრებს არანაკლებ ორი წევრის შემადგენლობით. ხმისდამთვლელი დროებითი კომისია ხელმძღვანელობს კენჭისყრის პროცესს, თვალყურს ადევნებს და ითვლის ხმებს ღია და ფარული კენჭისყრების დროს. აჯამებს ფარული კენჭისყრის შედეგებს, ადგენს ოქმს ფარული კენჭისყრის შედეგების თაობაზე, რომელსაც აცნობს საკრებულოს სხდომას. ხმისდამთვლელი დროებითი კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საკრებულოს მიერ შესაბამისი ფუნქციის მქონე მუდმივი კომისიის (იურიდიულ საკითხთა კომისია) არჩევამდე. კომისიის თავმჯდომარის დასახელებისა და არჩევის წესი იგივეა, როგორც სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარის დასახელებისა და არჩევის შემთხვევაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) მისი და საკრებულოს წევრების: მანანა ჩიხლაძის, მარეხ ნიჟარაძის, თეიმურაზ ნადირაძის, ზაქრო მამასახლისის, მამუკა რიჟამაძის, ამირან კოპალეიშვილის (სულ 7 წევრი) სახელით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, **მაია სიმონიძის** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული

საქართველო“) კანდიდატურა. მან დამატებით, წარმოადგინა აღნიშნულის შესახებ წერილობითი დოკუმენტიც.

ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა მ.სიმონიძემ თანხმობა განაცხადა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის არჩევის თაობაზე. ამასთან, მან დამატებით, წარმოადგინა წერილობითი თანხმობაც.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, მ.სიმონიძის დასახელებისა და ამ თანამდებობაზე არჩევის თაობაზე, მ.სიმონიძის თანხმობის შესახებ წერილობითი დოკუმენტები ოქმს თან ერთვის)

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ** გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარედ, საკრებულოს წევრის, მ.სიმონიძის არჩევასთან დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 34-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 24 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: საკრებულოს 10-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძემ, დ.ბახტაძემ, ბ.ბრეგაძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს საკრებულოს წევრი, მაია სიმონიძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მ.სიმონიძემ** წარმოადგინა საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის შემადგენლობა საკრებულოს წევრების: მანანა ჩიხლაძისა (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) და მაგდა

კოსტავას (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) შემადგენლობით. ამასთან, მან ოპოზიციის წარმომადგენლებს შესთავაზა საკუთარი კანდიდატურის დასახელება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა **გრ.შუშანიამ** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის შემადგენლობაში დაასახელა საკრებულოს წევრის, თედო მესხის კანდიდატურა (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“).

საკრებულოს დროებითი ხმისდამთვლელი კომისიის შემადგენლობაში სხვა კანდიდატურა აღარ დასახელებულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მ.სიმონიძემ** საკრებულოს წევრის, გრ.შუშანიას წინადადების გათვალისწინებით, ხელახლა წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის შემადგენლობა საკრებულოს წევრების: მანანა ჩიხლაძის (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“), მაგდა კოსტავასა (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) და თედო მესხის (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) კანდიდატურებით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა **თეიმურაზ ნადირაძემ** გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმისდამთვლელი კომისიის წევრებად მანანა ჩიხლაძის, მაგდა კოსტავასა და თედო მესხის დამტკიცების შესახებ. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 34-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.აბულაძე**.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 32 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში 2-მა წევრმა, ქალბატონებმა: ე.არჩაიამ და ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დამტკიცდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის წევრებად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მანანა ჩიხლაძე, მაგდა კოსტავა და თედო მესხი.

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 34-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 32 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: 2-მა წევრმა, ქალბატონებმა: ე.არჩაიამ და ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ პროექტის თაობაზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარის, **თ.ნადირაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ განკარგულება N2 ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე - 4 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“

№59 ქალაქ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **ლ.ლალიაშვილმა** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ **თ.ჯუღელს** გადასცა მასალები საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების შესამოწმებლად.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე წარმოდგენილი მასალების შემოწმებისა და აღნიშნულის შესახებ შესაბამისი დასკვნის შედგენის მიზნით, სხდომის ჩასატარებლად, გამოაცხადა შესვენება 20 წუთით.

შესვენების პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითმა კომისიამ ჩაატარა კომისიის პირველი სხდომა. N59 ქალაქ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გადმოცემულ მასალებზე დაყრდნობით, შეამოწმა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაცია, მოამზადა შესაბამისი დასკვნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ და შეადგინა სამანდატო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი №1.

შესვენების დასრულების შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა** საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით შედგენილი დასკვნა, საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი N1 და განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ წარუდგინა საკრებულოს სხდომას.



(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი N1, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნა და განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოსაზრებები არ გამოთქმულა.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 34-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარის, **თ. ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ **განკარგულება N3** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ“**

ზემოაღნიშნული საკითხის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ გააკეთა განმარტება: „შეგახსენებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 33-ე მუხლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის, 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და 98-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარეს, თავის შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით,

ფარული კენჭისყრით, ირჩევს საკრებულო. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს არანაკლებ სამ წევრს.“

### **ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა **ამირან კოპალიეშივილმა** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) მისი და საკრებულოს წევრების: გია ბასილაძის, მამუკა რიჟაძის, მარეხ ნიჟარაძის, ბაქარ მახარაძის, ზაქრო მამასახლისის, ბექა ქებულაძის, თეა ჯუღელის, პაატა ლილუაშვილისა და ლევან სანიკიძის (სულ 10 წევრი) სახელით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, **ირაკლი შენგელიას** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) კანდიდატურა და ამავდროულად, წარმოადგინა წერილობითი დოკუმენტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, ირაკლი შენგელიას დასახელების შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა **გრიგოლ შუშანიამ** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) საკრებულოს წევრების: გიორგი კილაძის, ხათუნა არველაძის, გაგა მანაგაძის, კახაბერ გაბუნias, ქეთევან ხურციძის, რომან ქვაჩაკიძის, ლაშა შალამბერიძის, ნინო ბიბილეიშვილის, დავით ბახტაძის, თედო მესხის, დარეჯან ფხაკაძის, ანა კოხრეიძის სახელით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, **ბესიკ ბრეგაძის** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) კანდიდატურა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა: ირაკლი შენგელიამ და ბესიკ ბრეგაძემ თანხმობა განაცხადეს კენჭი ეყარათ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

საკრებულოს წევრმა, ირაკლი შენგელიამ საკრებულოს სხდომაზე დამატებით წარმოადგინა წერილობითი განცხადება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრის თანხმობასთან დაკავშირებით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: ირაკლი შენგელისა და ბესიკ ბრეგაძის კანდიდატურების შეყვანის შესახებ“.**

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, ი.შენგელის დასახელების შესახებ საკრებულოს წევრების: ა.კოპალეიშვილის, გ.ბასილადის, მ.რიყამაძის, მ.ნიჟარაძის, ბ.მახარაძის, ზ.მამასახლისის, ბ.ქეზულაძის, თ.ჯუღელის, პ.ლილუაშვილისა და ლ.სანიკიძის წერილობითი დოკუმენტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ი.შენგელის წერილობითი განცხადება საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრის თაობაზე თანხმობასთან დაკავშირებით და განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: ირაკლი შენგელისა და მესიკ ბრეგაძის კანდიდატურების შეყვანის შესახებ“ ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 34-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 32 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: 2-მა წევრმა, ქალბატონებმა: ე.არჩაიამ და ნ.ჩიკვაშვილმა), და ა დ გ ი ნ ე ს:

ზემოაღნიშნულ საკითხზე, მიღებულ იქნეს განკარგულება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარის, თ.ნადირაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: ირაკლი შენგელიასა და ბესიკ ბრეგაძის კანდიდატურების შეყვანის შესახებ“ განკარგულება N4 ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა ფარული კენჭისყრის ჩატარების წესი: „პატივცემულო საკრებულოს წევრებო, ქალბატონებო და ბატონებო, ამის შემდეგ, უნდა ჩავატაროთ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრა, რისთვისაც, გამოცხადდება შესვენება. საკრებულოს წევრები დროებით დატოვებენ დარბაზს. ფარული კენჭისყრა ჩატარდება ამავე დარბაზში, კენჭისყრისათვის გამოყოფილ ადგილას. საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისია აწარმოებს ფარული კენჭისყრის პროცედურისათვის საჭირო ღონისძიებებს. თავდაპირველად კომისია ამზადებს, ხოლო შემდეგ არიგებს ბიულეტენებს. საკრებულოს წევრი ბიულეტენის მიღებას ადასტურებს კენჭისყრისათვის გათვალისწინებული საკრებულოს წევრთა რეგისტრაციის ფურცელზე მისი გვარის გასწვრივ, ხელმოწერით. ბიულეტენის მიღების შემდეგ, მიდის კენჭისყრისათვის გამოყოფილ ადგილზე და ავსებს ბიულეტენს. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. საკრებულოს წევრი შემოხაზავს იმ კანდიდატის რიგით ნომერს, რომელსაც მხარს უჭერს. ბიულეტენის გაფუჭების შემთხვევაში, მას შეუძლია დაუყოვნებლივ მიმართოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარეს, გაფუჭებულ ბიულეტენს ჩამოაჭრას რიგითი ნომრის აღმნიშვნელი კიდე, ჩააბაროს იგი და მიიღოს ახალი. ხმის მიცემის შემდეგ, საკრებულოს წევრი თავად იღებს კონვერტს, ათავსებს შიგ შევსებულ, გაკეცილ ბიულეტენს და უშვებს კენჭისყრისათვის გათვალისწინებულ სპეციალურ ყუთში. ბათილად ჩაითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენი, აგრეთვე, ის ბიულეტენი, რომლითაც შეუძლებელია

დადგინდეს ვის მისცა საკრებულოს წევრმა ხმა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარე ამ კომისიის წევრების თანდასწრებით, ხსნის კენჭისყრისათვის გათვალისწინებულ სპეციალურ ყუთს და ითვლის ბიულეტენების რაოდენობას.

ხმისდამთვლელი დროებითი კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს, ადგენს ოქმს, რომელშიც აღინიშნება ფარულ კენჭისყრაში მონაწილე საკრებულოს წევრთა რაოდენობა, გაცემული ბიულეტენების რაოდენობა, ყუთში აღმოჩენილი ბიულეტენების რაოდენობა, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა, კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა და ხმის მიცემის საბოლოო შედეგი. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები, რომელსაც კომისიის თავმჯდომარე აცნობს საკრებულოს სხდომას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, თუ მას მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. “

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარების მიზნით, გამოაცხადა შესვენება 40 წუთით.**

შესვენების პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ მოამზადა ფარული კენჭისყრის ბიულეტენები, ფარული კენჭისყრის სხვა საჭირო მასალები და ჩაატარა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნები ფარული კენჭისყრით.

შესვენების დასრულების შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მ.სიმონიძემ** წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი N1(ასლი).

**მან აღნიშნა :** „საკრებულოს ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნები ჩაატარა მშვიდ გარემოში. კომისიის მიერ, მომზადდა ფარული კენჭისყრის ბიულეტენები, საარჩევნო ყუთი, კონვერტები, საკრებულოს წევრთა სარეგისტრაციო სია და კენჭისყრის ჩატარებისათვის საჭირო სხვა მასალები. სხდომათა დარბაზში გამოიყო ადგილი ფარული კენჭისყრის ჩასატარებლად. კომისიამ უზრუნველყო ფარულ კენჭისყრაში მონაწილე საკრებულოს წევრების რეგისტრაცია, საკრებულოს წევრებისათვის ხელშეწყობა მათი ნების გამოსახატად ფარული კენჭისყრისას. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, კომისიამ გახსნა საარჩევნო ყუთი, დაითვალა თითოეული კანდიდატურისათვის მიცემული ხმები და კომისიის სხდომაზე შეადგინა ოქმი N1 „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამების შესახებ“. ფარულ კენჭისყრასთან დაკავშირებული პროცედურების დამთავრების შემდეგ, ფარული კენჭისყრის მასალები კომისიის ოქმის დედანთან ერთად, შეიფუთა ერთად, რომელსაც გარედან კომისიის ყველა წევრის მიერ მოეწერა ხელი და დაილუქა. ფარული კენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე, გაირკვა, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების ფარულ კენჭისყრაში, საკრებულოს 35 წევრიდან მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 32-მა წევრმა. საკრებულოს 3 წევრს, ბატონ დ.აბულაძეს, ქალბატონებს: ე.არჩაიასა და ნ.ჩიკვაშვილს რეგისტრაცია არ გაუვლიათ და ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ. გაიცა 32 ბიულეტენი. ყუთის გახსნისას აღმოჩნდა 32 ბიულეტენი, ბათილად ცნობილი არ ყოფილა არცერთი ბიულეტენი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულოს წევრმა, ირაკლი შენგელიამ (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) მიიღო 18 ხმა, ხოლო, საკრებულოს წევრმა, ბესიკ ბრეგამემ (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) მიიღო 14 ხმა. ხმის მიცემის შედეგებიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის (35 წევრი) ნახევარზე მეტმა (18-მა წევრმა) მხარი დაუჭირა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ირაკლი შენგელიას კანდიდატურის არჩევას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მ.სიმონიძემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყერის მასალები და ხმისდამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N1 (ასლი) გადასცა საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარეს, ბატონ თ.ნადირაძეს.

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ირაკლი შენგელიას არჩევის შესახებ“.

(განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ირაკლი შენგელიას არჩევის შესახებ“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი N1 (ასლი) წინამდებარე ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნული განკარგულების პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ირაკლი შენგელიას არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონი დ.აბულაძე, ქალბატონები: ე.არჩაია და ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, და ა ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ირაკლი შენგელიას არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, მიღებულ იქნეს განკარგულება ქალაქ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარის, **თ.ნადირაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ირაკლი შენგელიას არჩევის შესახებ“ **განკარგულება №5** ოქმს თან რთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ბატონ ირაკლი შენგელიას საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევა მიულოცეს საკრებულოს წევრებმა: თ. ნადირაძემ, გრ. შუშანიამ, მ.ნიჟარაძემ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, ი.ხახალეიშვილმა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **თ.ნადირაძე** (პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველო“): „მსურს, მივულოცო ბატონ ირაკლის მისი ეს აღიარება, ის ნამდვილად იმსახურებს ამ თანამდებობაზე ყოფნას, რადგანაც მე მას კარგად ვიცნობ და ჩემს წარმოდგენაში ის გახლავთ განათლებული, მოტივირებული, გაწონასწორებული და ღირსეული, მე ვიტყვოდი, ჩვენი ქალაქის ტრადიციების შესაფერი ახალგაზრდა პიროვნება, რომელიც დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ქუთაისს ჰქონდეს წინსვლა და განვითარება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი**: „მე ბატონ ირაკლის უკვე ვიცნობ, მასთან წარმატებული სამსახურებრივი ურთიერთობის გამოცდილება მაქვს, როდესაც ის გახლდათ წინა მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარე. აქედან გამომდინარე, მოხარული ვარ, რომ თანამშრომლობა გაგრძელდება და ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მსურს ჩემი მზადყოფნა და თანადგომა აღვუთქვა ბატონ ირაკლის. წარმატებებს გისურვებთ მოღვაწეობაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრ.შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მეც ასევე ძალიან კარგად ვიცნობ ბატონ ირაკლის, წინა მოწვევის საკრებულოს პერიოდში, გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში მქონდა საშუალება მასთან თანამშრომლობისა და ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს თანამშრომლობა გაგრძელდება და მტკიცედ მჯერა იმისა, რომ ეს საკრებულო იქნება ადგილი მწვავე დებატებისა, დისკუსიებისა და განხილვებისა, რომლებიც მიგვიყვანს ქალაქისა და ჩვენი ხალხისათვის დადებითი გადაწყვეტილებების მიღებამდე.“



აქვე მინდა აღვნიშნო ის, რომ ამ ყველაფერს მარტო ერთი ადამიანის, თუნდაც თავმჯდომარის ინტელექტუალური შესაძლებლობების ხარჯზე ვერ მივიყვანთ ბოლომდე, ეს შედეგი დადგება საკრებულოს თითოეული წევრის მიერ გაწეული შესაბამისი ძალისხმევით შედეგად. წარმატებებს გისურვებთ, ბატონო ირაკლი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“): „გილოცავთ ბატონო ირაკლი და წარმატებებს გისურვებთ ამ საპასუხისმგებლო საქმიანობაში, ჩემთვის ნამდვილად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ თქვენ მოგიწევთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციაზე ყოფნა, რადგანაც, როგორც დანარჩენები, მეც ასევე ძალიან კარგად გიცნობთ და მშვენივრად მომეხსენება თქვენი შესაძლებლობების შესახებ. კიდევ ერთხელ გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ირაკლი შენგელიამ** მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებსა და ქალაქის მერს: „დიდი მადლობა მეგობრებო, მადლობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ იოსებ ხახალეიშვილს, მადლობა საკრებულოს თითოეულ წევრს, ვინც ქალაქ ქუთაისის მოსახლეობას წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოში. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო პოლიტიკურ გუნდსა და ჩვენს მოქალაქეებს, რომლებმაც მე ნდობა გამომიცხადეს, რადგანაც ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ მე დამაკისრეს, ნიშნავს უდიდეს ნდობას, რაც დიდ ძალას მძლევს მე პირადად. მჯერა და დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ამ მოწვევის საკრებულო იქნება ადგილი მწვავე დებატებისა და დისკუსიებისა, რომელიც საფუძველს დაუდებს იმ საქმის კეთებას, რომელიც უდავოდ წინ წაწევს ჩვენს ქალაქს ყველა მიმართულებით. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა მეგობრებო.

დღის წესრიგით განსაზღვრული მე-5 საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ, სხდომას წაუძღვა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, **ბატონი ირაკლი შენგელია**.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-6 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

**წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის  
შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ თავდაპირველად, გააკეთა მოკლე ინფორმაცია, შემდეგ დაასახელა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების კანდიდატურები: „ვიყენებ რა კანონით მონიჭებულ უფლებას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობებზე თავად წარმოგიდგინო კანდიდატურებს. მ/წლის 19 ნოემბერს, რიგ სხვა ცვლილებებთან ერთად, ცვლილებები შევიდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 36-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკური თანამდებობის პირების ჩამონათვალს დაემატა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა. ცვლილებამდე, საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავდა ორი მოადგილე, აღნიშნული ცვლილების მიხედვით, საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-100 მუხლის საფუძველზე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, საკრებულო ირჩევს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ვასახელებ საკრებულოს წევრის, გია ბასილამის („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) კანდიდატურას, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობებზე - საკრებულოს წევრების: პაატა ლილუაშვილისა („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) და თეიმურაზ ნადირაძის („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) კანდიდატურებს.

დასახელებულმა კანდიდატურებმა თანხმობა განაცხადეს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების თანამდებობებზე კენჭისყრასთან დაკავშირებით, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გია ბასილაძის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გია ბასილაძის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“ განკარგულების პროექტი და საკრებულოს წევრის, გ.ბასილაძის წერილობითი თანხმობა აღნიშნულ თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით, ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ე.არჩაია, ნ. ჩიკვაშვილი და დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: 11-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კობხრიძემ, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიაძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, ბ.ბრეგაძემ), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს განკარგულება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ი.შენგელიას მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გია ბასილაძის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“ განკარგულება №6 ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პაატა ლილუაშვილის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პაატა ლილუაშვილის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“ განკარგულების პროექტი და საკრებულოს წევრის, პ.ლილუაშვილის წერილობითი თანხმობა აღნიშნულ თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით, ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ე.არჩაია, ნ. ჩიკვაშვილი და დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: 14-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კობხრიძემ, ბატონებმა: გრ.შუშანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს განკარგულება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ი.შენგელიას მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პაატა ლილუაშვილის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“ განკარგულება №7 ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თეიმურაზ ნადირაძის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თეიმურაზ ნადირაძის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“ განკარგულების პროექტი და საკრებულოს წევრის, თ.ნადირაძის წერილობითი თანხმობა აღნიშნულ თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით, ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ე.არჩაია, ნ. ჩიკვაშვილი და დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: 14-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კოხრიძემ, ბატონებმა: გრ.შუშანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს განკარგულება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ი.შენგელიას მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თეიმურაზ ნადირაძის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“ განკარგულება N8 ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია შემოვიდა წინადადებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნების ფარული კენჭისყრის პროცედურის ერთდროულად ჩატარების თაობაზე.

აღნიშნული წინადადების შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნების ფარული კენჭისყრის პროცედურის ერთდროულად ჩატარების თაობაზე, მის მიერ დასმულ წინადადებასთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა, კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ე.არჩაია, ნ. ჩიკვაშვილი და დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: 14-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კობხრეიძემ, ბატონებმა: გრ.შუშანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

**მუხლი 1.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნების ფარული კენჭისყრის პროცედურა ჩატარდეს ერთდროულად.

**მუხლი 2.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ფარული კენჭისყრისათვის ბიულეტენები მომზადდება თითოეული კანდიდატურისათვის ცალ-ცალკე.

2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნებში მონაწილე კანდიდატურებისათვის მიცემული ხმები დაითვლება ცალკეული კანდიდატურის მიხედვით და ფარული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები შედგება თითოეული კანდიდატურისათვის ცალ-ცალკე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნების ფარული კენჭისყრის მომზადებისა და ჩატარების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია შემოვიდა წინადადებით, შესვენების 40 წუთით გამოცხადების თაობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა ბ.ბრეგაძემ დასვა საკითხი, შესვენების იმ დრომდე შემცირების თაობაზე, რამდენიც დასჭირდება კენჭისყრის მომზადებასა და ჩატარებას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს წევრის, ბატონი ბ.ბრეგაძის წინადადების გათვალისწინებით, გამოაცხადა შესვენება 30 წუთით.

შესვენების პერიოდში, საკრებულოს ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ მოამზადა ფარული კენჭისყრის ბიულეტენები, ფარული კენჭისყრის სხვა საჭირო მასალები და ჩაატარა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნები ფარული კენჭისყრით.

შესვენების დასრულების შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მაია სიმონიძემ** წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნების შემაჯამებელი ოქმები თითოეული კანდიდატის არჩევნების შედეგების თაობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მ.სიმონიძემ** თავდაპირველად წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი N2 (ასლი), მან აღნიშნა, რომ: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენში შეყვანილი იყო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გია ბასილაძის კანდიდატურა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 35 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა და ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 18-მა წევრმა, გაცემული იყო 18 ბიულეტენი, საარჩევნო ყუთის გახსნისას აღმოჩნდა 18 ბიულეტენი, ბათილად იქნა ცნობილი 0 ბიულეტენი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, გია ბასილაძემ მიიღო 18 ხმა. ხმის მიცემის შედეგებიდან გამომდინარე, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა, ანუ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18-მა წევრმა მხარი დაუჭირა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გია ბასილაძის კანდიდატურის არჩევას“.



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მ.სიმონიძემ** წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი N3 (ასლი), მან აღნიშნა, რომ: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენში შეყვანილი იყო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პაატა ლილუაშვილის კანდიდატურა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 35 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა და ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 18-მა წევრმა, გაცემული იყო 18 ბიულეტენი, საარჩევნო ყუთის გახსნისას აღმოჩნდა 18 ბიულეტენი, ბათილად იქნა ცნობილი 0 ბიულეტენი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, პაატა ლილუაშვილმა მიიღო 18 ხმა. ხმის მიცემის შედეგებიდან გამომდინარე, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა, ანუ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18-მა წევრმა მხარი დაუჭირა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პაატა ლილუაშვილის კანდიდატურის არჩევას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მ.სიმონიძემ** წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი N4 (ასლი), მან აღნიშნა, რომ: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენში შეყვანილი იყო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თეიმურაზ ნადირაძის კანდიდატურა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 35 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა და ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 18-მა წევრმა, გაცემული იყო 18 ბიულეტენი, საარჩევნო ყუთის გახსნისას აღმოჩნდა 18 ბიულეტენი, ბათილად იქნა ცნობილი 0 ბიულეტენი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევად ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, თეიმურაზ ნადირაძემ მიიღო 18 ხმა. ხმის მიცემის შედეგებიდან გამომდინარე, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა, ანუ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18-მა წევრმა, მხარი დაუჭირა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თეიმურაზ ნადირაძის კანდიდატურის არჩევას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროები კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მ.სიმონიძემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამების შესახებ ოქმების ასლები კონვერტში შეფუთული ფარული კენჭისყრის სხვა მასალებთან ერთად გადასცა საკრებულოს თავმჯდომარეს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ მიულოცა საკრებულოს წევრებს, გ.ბასილაძეს, პაატა ლილუაშვილსა და თ.ნადირაძეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობებზე არჩევა: „მოგილოცავთ მეგობრებო. პირველ რიგში, ბატონო გია, მინდა მაძლობა გადაგიხადოთ იმ პროცესებისთვის და იმ საქმიანობისთვის, რომელსაც თქვენ ამდენი წლების განმავლობაში ეწევი. თქვენ ბრძანდებით პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ჩვენ სხვადასხვა პროცესებში და მათ შორის, პოლიტიკურში, მოგვიწია მონაწილეობა. პიროვნული თვისებებიდან და იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც თქვენ წლების განმავლობაში დააგროვეთ, ნამდვილად მივიჩნევ, რომ ღირსეულად გაართმევთ აღნიშნულ თანამდებობას თავს. მინდა მოგილოცოთ და წარმატებები გისურვოთ. ასევე, მინდა მივულოცო და წარმატებები ვუსურვო ბატონ პაატას. თქვენ, თქვენი პოზიციიდან გამომდინარე, ამ წლების განმავლობაში ემსახურებოდით ისეთ მნიშვნელოვან საქმეს, რასაც ტურიზმი ჰქვია და საკმაოდ მნიშვნელოვანია ის პროექტები, რომლებიც თქვენ ამ ხნის განმავლობაში განახორციელეთ. ჩვენ, ჯერ წინ გვაქვს ამ საკითხების ირგვლივ ბევრი ისეთი საკითხი,

რომლებიც უნდა გადავწყვიტოთ ერთობლივად. მინდა მოგილოცოთ და წარმატებები გისურვოთ ამ თანამდებობაზე. რა თქმა უნდა, ასევე ვულოცავ ბატონ თეიმურაზს. ჩვენ გვაკავშირებს ბევრი წლის ურთიერთობა. ის გახლავთ წარმატებული ექიმი, გარკვეული წლების განმავლობაში, იმ გამოწვევების პირობებში, რომელშიც იმყოფება ჩვენი ქალაქი და ქვეყანა, რასაც კოვიდ პანდემია ჰქვია, ხელმძღვანელობდა კლინიკას, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელი იყო კოვიდ პანდემიის მართვასთან დაკავშირებით. მან ამ პოზიციას ნათლად გაართვა თავი, შემდეგ, ბატონი თეიმური გახლდათ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. მნიშვნელოვანია ის პრინციპული დამოკიდებულებები, რომლებიც მას გამოარჩევს როგორც საკრებულოს წევრს, როგორც მოქალაქესა და როგორც საზოგადოების წევრს. ვფიქრობ, მისი საქმიანობა მომავალი წლების განმავლობაში იქნება ნაყოფიერი. გილოცავთ, ბატონო თეიმურაზ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს, ბატონებს: გ.ბასილაძეს, პ.ლილუაშვილსა და თ.ნადირაძეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობებზე არჩევა მიულოცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა **ი.ხახალიაშვილმა**: „მინდა შევეუბნოთ მილოცვას და მადლობა გითხრათ იმ გაწეული საქმიანობისა და შრომისთვის, რომელიც არაერთი წელი გვიკეთებია. დარწმუნებული ვარ, რა შემართებითაც დავიწყეთ თვითმმართველობის არჩევნების ახალი ეტაპი, ასეთივე წარმატებით გავაგრძელებთ.“

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გია ბასილაძის არჩევის შესახებ“.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გია ბასილაძის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის **ოქმი N2** (ასლი) წინამდებარე ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის თაობაზე მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ე.არჩაია, ნ. ჩიკვაშვილი და დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: 14-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კოხრიძემ, ბატონებმა: გრ.შუშანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს განკარგულება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ი.შენგელიას მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გაია ბასილაძის არჩევის შესახებ“ განკარგულება N9 წინამდებარე ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პაატა ლილუაშვილის არჩევის შესახებ“.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პაატა ლილუაშვილის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი N3 (ასლი) წინამდებარე ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის თაობაზე მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია

კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ე.არჩაია, ნ. ჩიკვაშვილი და დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: 14-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კოხრიძემ, ბატონებმა: გრ.შუშანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პაატა ლილუაშვილის არჩევის შესახებ“ **განკარგულება N10** წინამდებარე ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ირაკლი შენგელიამ** წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თეიმურაზ ნადირაძის არჩევის შესახებ“.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თეიმურაზ ნადირაძის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის **ოქმი N4** (ასლი) წინამდებარე ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის თაობაზე მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ირაკლი შენგელიამ** ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა, კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ე.არჩაია, ნ. ჩიკვაშვილი და ბატონი დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: 14-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კოხრეიძემ, ბატონებმა: გრ.შუშანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ი.შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თეიმურაზ ნადირაძის არჩევის შესახებ“ **განკარგულება N11** წინამდებარე ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

**დღის წესრიგის მე-7 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“**

საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების წესთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ:** „შეგახსენებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე და 38-ე მუხლებში შეტანილ იქნა ცვლილებები ფრაქციებთან დაკავშირებით. კერძოდ, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტი ფრაქციას ავალდებულებს მხოლოდ წესდების შემუშავებას. პლატფორმის დამტკიცება აღარ არის განსაზღვრული. 38-ე მუხლის თანახმად, ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ყოველ სამ წევრზე ფრაქციის თავმჯდომარის ერთი მოადგილე, მაგრამ არაუმეტეს შვიდისა. ფრაქციის თავმჯდომარისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ფრაქციის წესდებით.“

ფრაქციების დაფუძნებისათვის საჭიროა ჩატარდეს მათი სხდომები, მიიღონ გადაწყვეტილება ფრაქციის სახელწოდების შესახებ, არჩეულ იქნენ ფრაქციების თავმჯდომარეები და მოადგილეები, დაამტკიცონ თავიანთ სხდომებზე ფრაქციების წესდება და განცხადებით მიმართონ საკრებულოს სამანდატო დროებით კომისიას, რომელიც განიხილავს ამ მასალებს, მოამზადებს დასკვნას საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გააცნობს საკრებულოს სხდომას. ამის შემდეგ ცნობად მივიღებთ ამა თუ იმ ფრაქციის საკრებულოში დაფუძნების საკითხს. აღნიშნული პროცედურა, ანუ ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღებისათვის, კანონი არ ითვალისწინებს კენჭისყრის პროცედურის ჩატარებას, მაგრამ იმისათვის, რომ აუცილებელია განვსაზღვროთ ფრაქციის თავმჯდომარისა და მოადგილეების თანამდებობრივი სარგო, მიზანშეწონილია საკითხი თითოეული ფრაქციის დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ, მივიღოთ სამართლებრივი აქტით (განკარგულებით).

ზემოაღნიშნული პროცედურების ჩატარების მიზნით, ვაცხადებ შესვენებას 40 წუთით. ფრაქციები სხდომებს ატარებენ მესამე სართულზე, საკრებულოსათვის გაკუთვნილ ოთახებში, ხოლო სამანდატო დროებითი კომისია კი, ამ დარბაზში განიხილავს ფრაქციების მასალებს.“

#### **ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ე ვ ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი** შემოვიდა წინადადებით, შესვენების დროის შემცირების შესახებ: „წინა შესვენების დროს, ფრაქციებმა ჩაატარეს სხდომები და წარმომიდგინეს სხდომების ოქმები. თუ შეიძლება შევამციროთ შესვენების დრო, დაახლოებით 15 წუთი საკმარისი იქნება სხვა პროცედურებისთვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონ **თ. ჯუღელის** წინადადების გათვალისწინებით, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** გამოაცხადა შესვენება 15 წუთით.

შესვენების პერიოდში, საკრებულოს სამანდატო დროებითმა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა ფრაქციების: „ქართულმა ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი მასალები (ფრაქციების დაფუძნების თაობაზე ოქმები და ფრაქციების წესდებები), შეადგინა შესაბამისი ოქმი და დასკვნა, რომლებიც შესვენების დასრულების შემდეგ წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარეს.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის მასალებზე დაყრდნობით, გააკეთა განცხადება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციების: „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის თაობაზე: „გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიკრიბნენ ფრაქციები, მათ ჩაატარეს პირველი სხდომები, აირჩიეს ფრაქციების თავმჯდომარეები, დაამტკიცეს ფრაქციების წესდებები და მიმართეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებით კომისიას. საკრებულოს სამანდატო დროებითმა კომისიამ განიხილა რა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების: „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებები მათი დაფუძნების თაობაზე, გაეცნო ფრაქციების პირველი სხდომების ოქმებსა და წესდებებს, დაასკვნა, რომ ფრაქციები შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად და მიზანშეწონილად თვლის, რომ ისინი უნდა დარეგისტრირდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და მიენიჭოთ მათ ფრაქციის სტატუსი.“

ამის შემდეგ, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ განკარგულების პროექტი, საკრებულოს სამანდატო დროებითი



კომისიის შესაბამისი დასკვნა, ამ კომისიის სხდომის ოქმი, საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიისათვის გაგზავნილი ფრაქცია „ქართული ოცნების“ წერილობითი განცხადება, ამ ფრაქციის ოქმი N1 და წესდება ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის თაობაზე მოსაზრებები არ გამოთქმულა.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ე.არჩაია, ნ. ჩიკვაშვილი, ა.კობხრიძე და ბატონი დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, წინააღმდეგი: 0, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: 12-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიაძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ი.შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ **განკარგულება N12** ოქმს თან ერთვის)

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა **განკარგულების** პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ განკარგულების პროექტი, საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის შესაბამისი დასკვნა, ამ კომისიის სხდომის ოქმი, საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიისათვის გაგზავნილი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური

მომრაობის“ წერილობითი განცხადება, ამ ფრაქციის ოქმი N1 და წესდება ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის თაობაზე მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ე.არჩაია, ნ. ჩიკვაშვილი, ა.კობხრიძე და ბატონი დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ი.შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ **განკარგულება N13** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა: „მ/წლის 19 ნოემბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეიცვალა 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტი და 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ამ მუხლს დაემატა 2<sup>1</sup>, 2<sup>2</sup>, 2<sup>3</sup> პუნქტები. კერძოდ, საკრებულოს უფლებამოსილებას დაემატა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და დამტკიცება. შეიცვალა კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესი. კანონში აღნიშნული ცვლილების შეტანამდე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს,

საკრებულო ირჩევდა საკრებულოს წევრთაგან, კომისიის წევრებს საკრებულო ამტკიცებდა შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით. ახალი წესით, კომისიის თავმჯდომარე აირჩევა საკრებულოს კომისიის წევრთაგან, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში. საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია და ამტკიცებს საკრებულოს ბიურო, ხოლო ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე მათ განსაზღვრავს და ამტკიცებს საკრებულო. ამ სხდომის მოწვევამდე, საკრებულოს წევრები შევთანხმდით, საკრებულოს კომისიებში წევრთა რაოდენობებისა და კვოტების შესახებ. აღნიშნულის თაობაზე, წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს.“

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვისა და დამტკიცების შესახებ“.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვისა და დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

**ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგამე**: „იქნებ გაგვაგებინოთ, რა პრინციპზე დაყრდნობით და რა შინაარსის გათვალისწინებით მოხდა კვოტების მსგავსი განაწილება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როგორც მოგახსენეთ, მე უკვე წავიკითხე ორგანული კანონის შესაბამისი მუხლები, რომელთა მიხედვითაც ხდება აღნიშნული კვოტების დაწესება-განაწილება. ამ კანონიდან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს სრული უფლებამოსილება, რომ პირველ ეტაპზე

განვსაზღვროთ საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები და ამის შემდეგ, ცნობად მივიღოთ შესაბამისი კომისიების შემადგენლობები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგამე**: „მაგალითად, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის კვოტა რატომ არის 10, 11 ან 9? აი, ეს თუ შეგვიძლია რომ ავხსნათ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი **შენგელია**: „როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ, წინასწარი შეთანხმების შესაბამისად, დავადგინეთ კვოტა და განვსაზღვრეთ კომისიის წევრთა რაოდენობა, პროპორციის მიხედვით. სიტყვა პროპორცია კი, თავის თავში გულისხმობს პროპორციის მიხედვით, კომისიის წევრთა განსაზღვრას. ასევე, პროპორციის მიხედვით, თანაბრად გადავანაწილეთ და შეთანხმებას მივალწიეთ, რომ საკრებულოს კომისიები განსაზღვრულიყო 13 კაციანი შემადგენლობით. კანონის საფუძველზე მიღწეული შეთანხმებით დავადგინეთ სწორედ შესაბამისი კვოტები, რომლებიც წარმოადგინა შესაბამისმა ფრაქციებმა და ამ შეთანხმების საფუძველზე დავადგინეთ სწორედ 13 კაციანი კვოტა. შემადგენლობასთან დაკავშირებით კი, მოგვიანებით გვექნება იმის შესაძლებლობა, რომ გაგაცნოთ უფრო დეტალურად, თუ რა შემადგენლობით იქნება განაწილებული აღნიშნული რაოდენობა. კიდევ ერთხელ დავაზუსტებ იმას, რომ პროპორციები დგება მხოლოდ და მხოლოდ კანონის მიხედვით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგამე**: „საკრებულოს წევრთა შემადგენლობაში არიან ისეთი წევრები, რომლებიც არცერთი ფრაქციის შემადგენლობაში არ ირიცხებიან, მაინტერესებს მათაც დაუწესდება რაიმე სახის კვოტები, თუ როგორ იქნება მათი საქმე ამ მიმართულებით? აი, მაგალითად, მე არ ვარ არც ერთი ფრაქციის წევრი და მსურს, რომ საკრებულოს ორი კომისიის შემადგენლობაში ვიმუშავო, საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ საკითხთა კომისიებში, ამ უფლებას მიზღუდავთ, თუ როგორ იქნება საქმე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი **შენგელია**: „ბატონო ბესო, კიდევ ერთხელ განვმარტავ კანონს, ამ შემთხვევაში ფრაქციების

წარმომადგენლებს და საკრებულოში წარმოდგენილ წევრებს, რომლებიც არ არიან არცერთი ფრაქციის წევრები, კანონით აქვთ უფლებამოსილება, კვოტების თანახმად, მიიღონ მონაწილეობა კომისიების მუშაობაში და გახდნენ შესაბამისი კომისიების წევრები და ეს უფლება მოიპოვონ წერილობითი განცხადებების საფუძველზე. შესაბამისად, თქვენ თუ გულისხმობთ, ბატონ დავით აბულაძეს, მისი წერილობითი განცხადება რომელიმე კომისიის შემადგენლობაში გაერთიანების თაობაზე, მე რამდენადაც ვიცი და რასაც ასევე ქალბატონი თეა, სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე დამიდასტურებს, ამ ეტაპზე არ არსებობს, მომავალში კი, თუ ნებისმიერ წევრს ექნება სურვილი გაწევრიანდეს სხვა კომისიაში, ეს რა თქმა უნდა, განსაზღვრული კვოტების მიხედვით, არის შეთანხმების საგანი, შესაბამისად, როგორც იქნება წარმოდგენილი წინადადება, მათ შორის ფრაქციულ პროცესში, შესაბამისი რეგლამენტის გათვალისწინებით, მივიღებთ გადაწყვეტილებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე**: „ესეიგი, ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი **შენგელია**: „დიახ, კანონიდან გამომდინარე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ე.არჩაია, ნ. ჩიკვაშვილი, ა.კობრიძე და ბატონი დ.აბულაძე.

ღია კენჭისყრით ( მომხრე: 26 წევრი, წინააღმდეგი: 5 წევრი: ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, გ.კილაძე), **და ა დ გ ი ნ ე ს**:

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ი.შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ განკარგულება N14 ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია შემოვიდა წინადადებით, ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის მუშაობის 21:00 საათამდე გაგრძელების შესახებ.

ზემოაღნიშნულ წინადადებასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ სხდომის მუშაობის 21:00 საათამდე გაგრძელების შესახებ წინადადებასთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31-მა წევრმა, კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ე.არჩაია, ნ. ჩიკვაშვილი, ა.კობხრიძე და ბატონი დ.აბულაძე.

